დანართი №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ კასპის კოლეჯის "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ალინა კუპრავა

წევრები:

მაია გრიგალაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კასპის კოლეჯი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: სსიპ

საიდენტიფიკაციო კოდი: 205405480

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 24/07/2025 წლის N 912692 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ კასპის კოლეჯში "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოების ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმება.

ვიზიტი განახორციელდა 2025 წლის 31 ივლისს

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი.

ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებული აქტივობების თანახმად განხორციელდა სასწავლო გარემოების დათვალიერება-შეფასება, დოკუმენტაციების შესწავლა, შეხვედრები დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის აღწერილი დასკვნაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	**მოდის ტექნოლოგია და დიზაინი**
პროფესიული განათლების დონე	**მეოთხე**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მოდის ტექნოლოგიასა და დიზაინში**
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	**0723**
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	**15 /07/2025 წლის N873228 ბრძანება**
პროგრამის განხორციელების ენა	**ქართული**
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	**კასპი, დ. აღმაშენებლის ქუჩა N168ვ**
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	**რეალურ სამუშაო გარემოში**
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	**კოოპერაციული**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	**კოოპერაციული 30**
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

სსიპ კასპის კოლეჯი არის მრავალპროფილური კოლეჯი, რომლის მისიაა: "რეგიონში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა და ხარისხიანი განათლების მიწოდება. ასევე რეგიონის და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება მრავალპროფილური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით".

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ სრულად შეესაბამება კოლეჯის მისიას და ხედვას, რადგან ის ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებაზე, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე. პროგრამა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ თანხვედრაშია კოლეჯის მისიის ძირითად ელემენტებთან, როგორიცაა: რეგიონის და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა; მრავალპროფილური განათლების ხელშეწყობა; შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული კადრების მომზადება; პროგრამა განხორციელდება კოოპერაციულად. ასევე აღნიშნული პროგრამის განხორციელების შესაძლებლობა ეფუძნება კოლეჯის სტრატეგიულ განვითარების გეგმას, **რომელიც კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 14 დეკემბრის ბრძანებით N10 არის დამტკიცებული და შეესაბამება სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველი სტრატეგიულ მიზანს**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტები ადასტურებს, რომ „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამყარებულია შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და ტექნოლოგიური ტენდენციების ანალიზზე. დასაბუთებაში ასახულია როგორც ფაქტობრივი, ისე პროგნოზირებადი მოთხოვნა მოდის ტექნოლოგია და დიზაინის კვალიფიციურ სპეციალისტებზე. **ბოლო დროს განსაკუთრებით გაიზარდა მსუბუქი მრეწველობისა. კერძოდ სამკერვალო სფეროში კადრების დეფიციტი**
საქართველოს მთავრობა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო აღიარებს შრომის ბაზრის გამოწვევების გადაჭრის საჭიროებას და უკვე აქვს ინიცირებული მექანიზმები შრომის ბაზრის ინფორმაციული სისტემის განვითარებისკენ, რაც საფუძველს ქმნის მტკიცებულებებზე დაფუძნებული განათლების პოლიტიკისთვის. აღნიშნულ კონტექსტში მოდის ტექნოლოგია დიზაინის პროგრამა პოზიციონირდება, როგორც შრომის ბაზრის რეალურ მოთხოვნებზე პასუხის გამცემი.

სსიპ კასპის კოლეჯის მიერ ჩატარებულია მეორადი კვლევა, რომელიც ეფუძნება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2023 წელს ჩატარებული „მრეწველობის სექტორში უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა“-ის შედეგებს. ამ შედეგებმა გვიჩვენა, რომ 2023 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 122,728 ადამიანი შეადგინა, მათ შორის უმრავლესობა თბილისშია (42% დასაქმებული) (კოლეჯის მოქმედების არეალი). კვლევის თანახმად, გამოიკვეთა, რომ მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა წილის 77% (94 447 დასაქმებული) დამამუშავებელ მრეწველობაზე მოდის, თავის მხრივ, დამამუშავებელ მრეწველობაში დასაქმებულები ქვესექტორების დონეზე ნაწილდება და ჩამონათვალში მესამე ადგილზე 11%-ით ტექსტილის, ტანსაცმლის, ტყავისა და მასთან დაკავშირებული ნაწარმის წარმოება დგას. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2025 წელს ჩატარებული მრეწველობის სექტორში უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის თანახმად რეგიონების მიხედვით დასაქმებულთა განაწილება გვიჩვენებს, რომ უმრავლესობა თბილისშია (კოლეჯის მოქმედების არეალი) დასაქმებული. დედაქალაქში დასაქმებულთა წილი მთლიანი დასაქმების 63%-ია. აღნიშნულლი კვლების ანალიზიდან იკვეთება სამუშაო ძალაზე (მუშახელზე) მოთხოვნის ზრდის ტენდენცია. აღნიშნული კვლევის თანახმად სამუშაო ძალაზე არსებული მოთხოვნის გამოვლენის მიზნით, კვლევის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა საწარმოებში არსებული და გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობის შესწავლა. ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით, ვაკანსიების მქონე საწარმოებში დამამუშავებელი მრეწველობა 11%-ით მესამე ადგილს იკავებს. ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით შეუვსებელი ვაკანსიების მაღალი წილით მესამე ადგილზე ტექსტილზე, ტყავსა და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავე ოსტატები 76%-ით დგას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქსტატის მონაცემებით 2006 წლიდან 2023 წლის ჩათვლით მრეწველობაში ბრუნვის მოცულობა თბილისში დაახლოებით 600%-ით გაიზარდა და კვლავ მზარდი ტენდენციით გამოირჩევა, რაც მიუთითებს მომავალში აღნიშნულ სექტორში კვალიფიციური მუშახელის მოთხოვნის ზრდაზე. გარდა ოფიციალური მაჩვენებლებისა გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ სფეროში დასაქმების უმეტესი წილი თვითდასაქმებაზე მოდის. აღნიშნული მონაცემების მიხედვით კოლეჯის სამოქმედო არეალში არსებობს და ასევე პროგნოზირებადია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - მოდის ტექნოლოგია და დიზაინი.

აღნიშნული ასპექტები ხაზს უსვამს, რომ პროგრამის ბენეფიციარებს ექნებათ ფართო შრომითი ბაზრის ათვისების შესაძლებლობა, რაც ზრდის პროგრამის პრაქტიკულ და ეკონომიკურ ღირებულებას.

ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, არსებობს მოთხოვნა იმ უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

სსიპ კასპის კოლეჯის მიერ შესწავლილი იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2023 და 2024 წლს ჩატარებული შრომის ბაზრის ანალიზის შედეგები. 2023 წლის ანლიზის შესაბამისად 2022 წელს მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 137 363 ადამიანი შეადგინა, რაც მთლიანი ბიზნეს სექტორის დასაქმების 17.6%-ს შეადგენს, ხოლო 2024 წლის ანალიზის შესაბამისად 2023 წელს მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 141 009 ადამიანი შეადგინა, რაც მთლიანი ბიზნეს სექტორის დასაქმების 17.1%-ს შეადგენს. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2.7 %-ით გაიზარდა. ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით უმრავლესობა დამამუშავებელი მრეწველობის სექტორშია დასაქმებული 2023 წლის ანალიზის მიხედვით -69%, 2024 წლის ანალიზის მიხედვით -68%.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიზნით, სსიპ კასპის კოლეჯის მიერ, განხორციელდა ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევებისა და ანგარიშების ანალიზი, კერძოდ: უახლეს პერიოდში საქართველოში შრომის ბაზრის შესახებ რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევა გამოქვეყნდა;
1. PMCG-ის კვლევა - ამ კვლევამ განიხილა უმუშევრობის დონე და დასაქმების მაჩვენებლები 2023 წლის სხვადასხვა კვარტალში. უმუშევრობის დონე კვლავ შემცირების ტენდენციას აჩვენებს, ხოლო დასაქმების მაჩვენებლები სტაბილურად იზრდება, რაც ეკონომიკის განვითარებას უკავშირდება
2. LMIS პლატფორმის კვლევა - ეს მოიცავს პროფესიულ და სექტორულ ანალიზს, განსაკუთრებით მშენებლობის, ვაჭრობის და სოფლის მეურნეობის სფეროებში. ასევე, განხილულია რეგიონებში არსებული ეკონომიკური პოტენციალი და სამუშაოს ბაზრის ძირითადი მოთხოვნები
3. GFA-ის შრომის ბაზრის ანგარიში - ეს კვლევა ყურადღებას ამახვილებს რეგიონული შრომის ბაზრების სპეციფიკაზე, მიგნებების და რეკომენდაციების ჩათვლით, რომლებიც ეხება პროფესიული განათლების გაუმჯობესებას და უნარების განვითარების საჭიროებებს
ეს კვლევები ასევე გვთავაზობენ დეტალურ ინფორმაციას სხვადასხვა სფეროში არსებულ ტენდენციებზე, რაც დაგვეხმარა შესაძლებლობის ფარგლებში გაგვეანალიზებინა საქართველოს შრომის ბაზრის მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები. კოლეჯმა შრომის ბაზრის მიმოხილვითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ანალიზის დროს ასევე იხელმძღვანელა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზით - საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2024 აღნიშნულ ანგარიშებში გაანალიზებულია ქვეყანაში დასაქმებისა და უმუშევრობის მიმართულებით არსებულ ტენდენციები, მათ შორის სექტორულ, ასაკობრივ, გენდერულ და რეგიონულ ჭრილში. იგი შეისწავლის შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტს და ამასთან განსაზღვრავს იმ ძირითად სექტორებს, რომლებშიც განსაკუთრებით მაღალი ეკონომიკური აქტივობაა მოსალოდნელი მომდევნო წლებში, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს ამ სექტორებში დასაქმების ზრდის ერთერთ აუცილებელ წინაპირობას. სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული შრომის ბაზრის ანალიზი კოლეჯს დაეხმარა შრომის ბაზარზე არსებული ზოგადი მოთხოვნის კომპონენტების და მოსალოდნელი ტენდენციების გამოვლენის კუთხით. საქართველოს შრომის ბაზარზე მაღალია მოთხოვნა კონკრეტულ პროფესიებზე, რომელთა დაუფლებაც მარტივად და მოკლე დროში შეიძლება პროფესიულ სასწავლებლებში.

პსდ-ს მიერ ჩატარებული ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის შედეგებით გამოიკვეთა კონკრეტული სპეციალობის მქონე კვალიფიციური კადრების საჭიროება

საგანმანათლებლო პროგრამისთვის მოდის ტექნოლოგია და დიზაინი, სამუშაო ჯგუფის მიერ 2025 წელს ჩატარებული იქნა კასპის ლოკაციაზე არსებული მცირე და საშუალო სამკერვალო საწარმოების კვლევა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა შრომის ბაზარზე მოდის დიზაინერების, მკერავებისა და კონსტრუქტორების პოზიციაზე 2-3 წლის განმავლობაში კადრების მოთხოვნის მაჩვენებლის დადგენა და სამომავლო პროგნოზების განსაზღვრა. გამოკითხვა ჩატარდა, გამოიკითხა 5 სამკერვალო საწარმო/ატელიე/ ინდმეწარმე და დადგინდა, რომ გამოკითხულთა 100% ადასტურებს მკერავებისა და კონსტრუქტორების პოზიციაზე კადრების მოთხოვნა სტაბილურად მზარდია. გამოკითხულთა 40% ადასტურებს, რომ მოდის დიზაინერებზე მოთხოვნა მაღალია, 25%-ის აზრით მოთხოვნა არის თუმცა არასტაბილური მაჩვენებლით, ხოლო 35%- ამბობს, რომ მოდის დიზაინერების პოზიციაზე კადრის მოთხოვნა დაბალია.

დაწესებულების მიერ ჩატარებული ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის შედეგებით გამოიკვეთა მოდის ტექნოლოგიისა და დიზაინის სპეციალობის მქონე კადრის მომზადება მნიშვნელოვანი კრიტერიუმებით, საჭიროა და აუცილებელი შრომის ბაზრის დასაკმაყოფილებლად. აგრეთვე, გამოიკვეთა, რომ დამსაქმებლისათვის მნიშვნელოვანია სფეროს მცოდნე, კვალიფიციური, პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე, კონკურენტუნარიანი კადრების მოზიდვა და დასაქმება საწარმოებში.
წარმატებული sამუშაო პროცესისათვის საჭიროა კომპლექსური გუნდი.ყოველი პოზიცია მოითხოვს კონკტეტულ უნარებს დაპასუხისმგებლობებს. მნიშვნელოვანია ძირითადი სპეციალობები, რომლებიჩ თითქმის ყველა სამკერვალო საწარმოშ არის საჭირო.
ტანსაცმლის ტექნოლოგ კონსტრუქტორი - ქმნის მოდელის ტექნიკურ აღწერას და დეტალურ მახასიათებლებს. აფასებს მოდელის შრომატევადობას შლის მოდელს დეტალებად. პასუხიმგებელია სწორ ფორმებზე , ხარისხსა და სტანდარტებზე
მოდელიორი /დიზაინერი- ქმნის ესკიზებს. ირჩევს სტილს ფერებსა და ტრენდს. მჭიდროდ მუშაობს კონსტრუქტორტან და წარმოების მენეჯერთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მკერავი -(ინდივიდუალური ა სპეციალიზირებული) კერავს მოდელს/ ხშირად ასრულებს კონკრეტულ ოპერაციებს
გამომჭრელი - გამოჭრის დეტალებს ზედმიწევნით სიზუსტით, მუშაობს როგორც ხელით ასევე ავტომატური ჭრის დანადგარებზე
ხარისხის კონტროლი-ამოწმებს ნაწარმს ეტპობრივად და საბოლოოდ. აფიქსირებს დეფექტებს და აძლევს რეკომენდაციებს გამოსწორებაზე
საბოლოო სახის მიმცემი-აკეთებს ბოლო ფაზას - აუთავებს ,ფუთავს და აკეთებს ეტიკირებას
მონაცემების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ შესაბამისი უნარების (რის გამომუშავებასაც უზრუნველყოფს პროგრამა) მქონე კვალიფიციური კადრები, დეფიციტურია ქვეყნის/კონკრეტული გეოგრაფიული არეალის შრომის ბაზარზე (სადაც ოპერირებს პსდ) რომელიც საჭიროა ქვეყნის/რეგიონის ეკონომიკის განვითარებისთვის

დასაქმების პლატფორმების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ არსებობს მოთხოვნა იმ სამუშაო უნარებზე/პოზიციებზე რის გამომუშავებასაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამა

დასაქმების პლატფორმების (jobs.ge, hr.ge , worknet.gov.ge) ანალიზის შედეგად იკვეთება პერიოდულად განმეორებადი ვაკანსიები: მკერავი, ტექნოლოგი, მოდელიორი, რაც მოწმობს ამ მიმართულებით მოთხოვნას შრომის ბაზარზე.
ასევე, სოციალური ქსელები, Facebook-ის ჯგუფები, სადაც ხშირად ქვეყნდება სამუშაოს ვაკანსიები. ამ დასაქმების პლატფორმების (როგორიცაა HR.ge, Jobs.ge და სხვა) ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ადგილობრივ ბაზარზე არსებული ვაკანსიები ხშირად მოითხოვს ისეთ უნარებს და პოზიციებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინის“ ფარგლებში მიღებულ კომპეტენციებს.

კურსდამთავრებულების კვლევის შედეგებმა გამოკვეთა კონკრეტული პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმებისუნარიანობა

კოლეჯმა ასევე გაანალიზა პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ განხორციელებული კურსდამთავრებულების კვლევის შედეგები, სადაც გამოიკვეთა კონკრეტული პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმებისუნარიანობა. ამ დოკუმენტში მოცემულია საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები, რომლებიც მოიცავს დასაქმების უნარიანობის შეფასებას, სამუშაო ბაზართან შესაბამისობას, და სწავლის შედეგების ანალიზს. სამკერვალო წარმოების პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების უნარიანობის შესახებ ინფორმაცია დოკუმენტში მოცემულია, სადაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. კვლევის ფარგლებში კურსდამთავრებულები ადასტურებენ, რომ პროგრამა ხელს უწყობს საჭირო უნარების განვითარებას, დოკუმენტის თანახმად, პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების უნარიანობასთან დაკავშირებით შემდეგი დეტალები გამოიკვეთა: დასაქმებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღნიშნავს, რომ პროგრამამ განავითარა მათთვის საჭირო უნარები და კომპეტენციები. კვლევის მიხედვით, სამკერვალო წარმოების კურსდამთავრებულთა სამუშაო ხშირად პასუხობს მათ მიერ მიღებულ კვალიფიკაციას. თუმცა, ზოგიერთი კურსდამთავრებული მიუთითებს, რომ სამუშაო ბაზარზე კონკრეტული უნარების უფრო ღრმა განვითარებაა საჭირო. კურსდამთავრებულებმა გამოჰყვეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრიორიტეტული უნარები, როგორიცაა გუნდური მუშაობა, კრეატიულობა და დროის მართვა. დამსაქმებლები გამოკვეთილად აფასებენ ტექნიკურ კომპეტენციას და გუნდური მუშაობის უნარს.**პროგრამაზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი საშუალოდ 73%-ია, რაც შედარებით მაღალია სხვა მიმართულებებთან შედარებით**

პროგრამა ხორციელდება სხვა პსდ-ების მიერ, თუმცა თქვენი დაწესებულების პროგრამა იქნება გამორჩეული (რით იქნება თქვენი კოლეჯის მიერ განხორციელებული პროგრამა განსხვავებული სხვა კოლეჯებისგან, რომლებიც იგივე პროგრამებს ახორციელებენ)

სსიპ კასპის კოლეჯი 2021 წლიდან წარმატებით ახორციელებდა საგანმანათლებლო პროგრამას „სამკერვალო წარმოება“ კოლეჯის ორგანიზაციული მოწყობა იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. კოლეჯში მუშაობს 30 ადმინისტრაციული პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების სრულფასოვან ადმინისტრაციულ მხარდაჭერას დაგეგმვის, კონტროლის, მატერიალურ -ტექნიკური უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, სტუდენტთათვის სრულფასოვანი სერვისების მიწოდების კუთხით . პროგრამის განხორციელებისათვის კოლეჯს გააჩნია C ტიპის სასწავლო გარემო - რომელიც აღჭურვილია პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიებით და მონაცემების აღჭურვილობით, მასწავლებლის მაგიდითა და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, ქსელური პრინტერითა და დემონსტრირების საშუალებით ;
კოლეჯს პროგრამის განხორციელებისათვის უკვე გააჩნია შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. საგანმანათლებლო პროგრამა დაფინანსდება სამინისტროს მიერ ვაუჩერულად, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას . კოლეჯს შემუშავებული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც კონკრეტულად გათვლილია თანხის რა ნაწილი რაზე იხარჯება და პროგრამის განხორციელებისათვის სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა

სსიპ კასპის კოლეჯი წარმატებით ახორციელებდა „სამკერვალო წარმოების“ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც განსაკუთრებული მაღალი მოთხოვნით გამოირჩეოდა აპლიკანტების მხრიდან და ინტერესს წარმოადგენს ადგილობრივ მოსახლეობაში, რაც დასტურდება ბოლო წლების კოლეჯის სტატისტიკური მონაცემებით.

საგნმათლებლო პროგრამ-სამკერვალო წარმოება	გამოცხადებული ადგილების რაოდენობა	რეგისტრირებული აპლიკანტები	ჩარიცხვა
2021	**28**		**23**
2022	**13**	**25**	**13**
2023	**15**	**24**	**15**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2024	**15**	**29**	**13**

დაწესებულებას ჰყავს საკმარისი ადამიანური რესურსი (პროგრამის განმახორციელებლები) საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად.

კოლეჯს ჰყავს საკმარისი ადამიანური რესურსი (ადმინისტრაცია,შესაბამისი კვალიფიკაციის პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებლები (13 განმახორციელებელი, მათ შორის 4 დარგობრივი მოდულებისათვის), რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიანად განხორციელებას.

დაწესებულებას აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისავის გამოყოფილია A და C გარემო , თითოეული აღჭურვილია 15 პროფესიული სტუდენტისათვის და მასწავლებლისათვის პროგრამის სპეციფიკით განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით;

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა მოსაზრებით პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“-ზე ჩარიცხვის წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლების არსებობა. ჩარიცხვის პროცესი რეგულირდება სსიპ კასპის კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 10 თებერვლის №10 ბრძანებით დამტკიცებული და 2025 წლის 4 ივნისს №619331 ბრძანებით განახლებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს კონსულტირების, რეგისტრაციისა და შერჩევის ეტაპებს, საკონკურსო კომისიის შექმნის პროცედურას და სხვა ადმინისტრაციულ მექანიზმებს. რეგულაცია სრულად შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ დებულებებს, რაც უზრუნველყოფს პროცესის სამართლებრივ საფუძველს, გამჭვირვალობასა და თანაბარ ხელმისაწვდომობას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ კასპის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება 2021 წლის 19 თებერვლის №25 ბრძანებით დამტკიცებული მეთოდოლოგიის საფუძველზე. აღნიშნული მეთოდოლოგია ეფუძნება ავტორიზაციის დებულების მუხლი 25, პუნქტი 5-ის მოთხოვნებს და ითვალისწინებს სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის არსებულ მატერიალურ, ადამიანურ და პრაქტიკის ობიექტის რესურსებს. აღნიშნული საფუძვლების გათვალისწინებით, პროგრამაზე „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ კოლეჯის მიერ დადგენილია პროფესიული სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა — 30 სტუდენტი, ორი სასწავლო ცვლის პირობებში

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **“ მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“** განსახორციელებლად აუცილებელი რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი პროგრამის თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით, არის დაწესებულების საკუთრებაში, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით. რაც შეეხება სასწავლო რესურსს, პროგრამა სრულადაა უზრუნველყოფილი შესაბამისი თემატიკის სასწავლო რესურსებით (ელექტრონული/ბეჭდური).

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ერთ არჩევით მოდულს - ქართული ეროვნული სამოსის გამოჭრა და ტექნოლოგიური დამუშავება, რომელიც განსაზღვრილია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით და ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 28 იანვრის N3 (ცვლილება: 2024 წლის 20 დეკემბრის N144 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, შეცლისა და გაუქმების წესის” მუხლი 4-ის თანახმად, პროფესიულ პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. შესაბამისად პროგრამა დამტკიცებულია სსიპ კასპის კოლეჯის დირექტორის 15 /07/2025 წლის N873228 ბრძანებით.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია როგორც შინაარსთან, ასევე პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან და არ არის შეცდომაში შემყვანი. იგი შეესაბამება ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 05/06/2024 წლის N625408 ბრძანებას(ცვლილება 02/09/2024 N1042229) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ სახელწოდებას.

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამა შემუშავებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 28 იანვრის N3 (ცვლილება: 2024 წლის 20 დეკემბრის N144 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, შეცლისა და გაუქმების წესის” შესაბამისად. იგი ეფუძნება საგანმანათლებლო სტანდარტს ,, მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1). მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც ვერ დაადასტურეს ქართული ენის ცოდნა პროგრამაზე შერჩევის პროცესში. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. ასევე სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. დაცულია პროგრამის ლოგიკური განვითარება, დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისთვის და პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო დატვირთვა არ აღემატება დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

პროგრამის სრული პაკეტის შესაწავლის შედეგად დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ვებ გვერდზე განთავსებული მისია,ხედვა, ღირებულებები;
- კოლეჯის ვებ-გვერდი https://kc.edu.ge
- 2020 წლის 14 დეკემბრის N10 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა 2021 წლის 28 იანვრის N3 ბრძანება(ცვლილება: 2024 წლის 20 დეკემბრის N144 ბრძანება);
- ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, შეცვლის და გაუქმების წესი”.
- დირექტორის 15/07/2025 წლის N873228 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ .
- 2021 წლის 19 თებერვლის N25 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო -2021 წლის 28 იანვრის N3 (ცვლილება: 2024 წლის 20 დეკემბრის N144 ბრძანება) „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, შეცვლის და გაუქმების წესი".
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- მემორანდუმი პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტთან.
- 10/02/2021 წლის N 10 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება: 2025 წლის 4 ივნისის N619331 ბრძანება)„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი";
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სასწავლო პროცესის მიზნებისთვის კოლეჯს გააჩნია A ტიპის აუდიტორია და C ტიპის სახელოსნო, რომელიც აღჭურვილია პროგრამის სპეციფიკური მოთხოვნების შესაბამისად. თითოეული გარემო აღჭურვილია 15 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილით ; სახელოსნოში განთავსებულია საჭირო რაოდენობის პერსონალური საკერავი მანქანები სტუდენტების ინდივიდუალური გამოყენებისთვის. აუდიტორიები უზრუნველყოფილია დემონსტრირების ციფრული საშუალებებით, დაფითა და სხვა აუცილებელი რესურსებით. პროგრამას თან ერთვის დანართის სახით წარმოდგენილი მატერიალური რესურსების სია, რომლის რეალური არსებობა დადასტურებულია ადგილზე დათვალიერებისა და შესაბამისი შესყიდვის აქტების საფუძველზე.

მოდულის „საწარმოო პრაქტიკის“ კომპონენტის რეალიზაციის მიზნით გაფორმებულია მემორანდუმი შპს „პრემიერა ტმ“-თან. დოკუმენტით განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტისათვის პრაქტიკის კომპონენტის გავლის შესაძლებლობა. პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დასტურდა მათი მზაობა, მიიღონ სტუდენტები და უზრუნველყონ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია როგორც კოლეჯის, ისე პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური ბაზით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის — 30 სტუდენტის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის — 4 დარგობრივი სპეციალისტი (განმახორციელებელი პირი). მასწავლებელთა შერჩევა განხორციელებულია კოლეჯის მიერ დადგენილი შერჩევისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მათ პროფესიულ შესაბამისობას კონკრეტული მოდულების განხორციელებისთვის. ყველა განმახორციელებელი პირის პროფესიული კვალიფიკაცია დადასტურებულია მათ პირად საქმეთა დოკუმენტაციითა და შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებებით, რომლებიც გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლა. დადასტურდა, რომ კოლეჯს გააჩნია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელთა საფუძველზე ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში იდგმება შესაბამისი ნაბიჯები მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის დაგეგმვის მიზნით.ამ გარემოებების გათვალისწინებით, ერთ პროგრამაზე ორი სასწავლო ცვლის პირობებში პროფესიული განათლების მასწავლებლის საკონტაქტო დატვირთვა კვირაში მერყეობს 25-30 საათის ფარგლებში. აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცედურები უზრუნველყოფს პერსონალის დატვირთვის შესაბამისობას კანონმდებლობით დადგენილ ზღვართან და ხელს უწყობს რესურსის ოპტიმალურ გამოყენებას საგანმანათლებლო პროცესში.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პერსონალის შერჩევის და კვალიფიკაციის რეგულირების საფუძველს წარმოადგენს კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 20 ოქტომბრის №115 ბრძანებით დამტკიცებული და 2024 წლის 20 ივნისის №70 ცვლილებით განახლებული შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის წარდგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. დოკუმენტის თანახმად, პროფესიული განათლების მასწავლებლებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი განათლება ან/და სამუშაო გამოცდილება, ასევე სწავლებისა და შეფასების კომპეტენცია. აღნიშნული მოთხოვნების შესრულება დასტურდება მასწავლებელთა პირადი საქმეებით, მათი საქმიანობის შედეგების ანალიზით და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებით.

პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს გავლილი აქვს არაერთი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგი, მათ შორის შემდეგი თემატიკით: სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში, პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება, კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასება მოდულურ პროგრამაში და სხვა. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა ინტერვიუები მოდულების განმახორციელებელ პირებთან, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ ისინი უკვე თანამშრომლობდნენ კოლეჯთან წინამორბედი პროგრამების განხორციელების პროცესშიც და ფლობენ სათანადო გამოცდილებას. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, დასტურდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შერჩეულ მასწავლებლებს გააჩნიათ სწავლებისა და შეფასების ის კომპეტენციები, რომლებიც აუცილებელია პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევისათვის.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად დანიშნულია პირი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობაზე მისი დანიშვნა განხორციელდა დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის №867197 ბრძანებით. აღნიშნული პირი ამავე დროს წარმოადგენს 9 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელ პირს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი კარგად იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს, აქტიურად იყო ჩართული პროგრამის დაგეგმვისა და ადაპტირების პროცესებში და გამოხატავს მზადყოფნას სრულად ჩაერთოს პროგრამის განხორციელებისა და განვითარების ყველა ეტაპში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია კოლეჯის ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული ფორმატით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად. მათ შორის შედის დარგობრივი ლიტერატურა და განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული მასალები. პროფესიული სტუდენტები დასარგებლობენ აღნიშნული რესურსებით სპეციალურად აღჭურვილ სამკითხველო დარბაზში, რომელიც უზრუნველყოფილია შესაბამისი ინვენტარით, კომპიუტერებითა და პრინტერული ტექნიკით.

სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა ინტერნეტის გამოყენებით მოძებნონ საჭირო ინფორმაცია, ისარგებლონ სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის პროფესიონალური კონსულტაცია. მოდულებში მითითებული ელექტრონული ლიტერატურა ხელმისაწვდომია კოლეჯის ვებგვერდზე (https://kc.edu.ge/wp-content/uploads) თავისუფალი წვდომის რეჟიმში.

საგანმანათლებლო მოდულებში გამოყენებული ნორმატიული აქტები კოლეჯის მასწავლებლებისთვის მუდმივად განახლებულია და ხელმისაწვდომი ოფიციალური ორგანოს — სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს (სსსმ) აქვთ წვდომა პროგრამით და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია მათი საჭიროებებისა და მოთხოვნების შესაბამისად. კოლეჯში ფუნქციონირებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, რომლის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობაა უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესისა და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად ადაპტირება.

ინკლუზიური სპეციალისტი ასევე უზრუნველყოფს სტუდენტთა სამუშაო და სასწავლო მასალის შესაბამის ადაპტაციას, რაც კოლეჯში ეფექტურად დანერგილი და სისტემატურად პრაქტიკაში გამოყენებული პროცედურაა.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კოლეჯის ფინანსური რესურსები უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის სწავლება ფინანსდება სამინისტროს მიერ ვაუჩერული მექანიზმის გამოყენებით. კოლეჯს აქვს შემუშავებული პროგრამის დეტალური ბიუჯეტი, რომელიც განსაზღვრავს ფინანსურ რესურსებსა და ხარჯებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ რენტაბელობის მინიმალურ ზღვარს წარმოადგენს 11 პროფესიული სტუდენტიდან მიღებული შემოსავალი. აღნიშნული ფინანსური ბარიერი წარმოადგენს საფუძველს პროფესიული სტუდენტთა ჯგუფების დაკომპლექტებისა და პროგრამის გამართული ფუნქციონირებისთვის.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ძირითადი ხარჯები მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, სასწავლო რესურსებისა და მასალა-ნედლეულის შეძენას, რაც წარმოადგენს რენტაბელობის ზღვრის გაანგარიშების საფუძველს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ, პერსონალის პირადი საქმეები;
- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ, მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაცია;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- დირექტორის 2021 წლის 20 ოქტომბრის №115 ბრძანებით (ცვლილება 2024 წლის 20 ივნისის N70) „შინაგანაწესით“;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- პარტნიორ ორგანიზაცასთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი;
- დაწესებულების/ პრაქტიკის ობიექტის პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ინტერვიუს და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

კოლეჯში მოქმედებს დირექტორის 2021 წლის 11 თებერვლის №11 (ცვლილება 10/01/2022 №05) ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც გულისხმობს სისტემურ და ციკლურ პროცესს – „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე და განავითარე“. აგრეთვე, მოქმედებს 2021 წლის 28 იანვრის №3 (ცვლილება 2024 წლის 20 დეკემბრის №144) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესი“, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ პროგრამის შემუშავების ეტაპებს, არამედ უზრუნველყოფს პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმებს, პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზსა და შესაბამის ცვლილებებს.

პროგრამის შეფასების მიზნით კოლეჯში გამოიყენება უკუკავშირის მექანიზმი, რომელიც ეფუძნება „კვლევის მეთოდოლოგიას“ და მის დანართებში წარმოდგენილ გამოკითხვის ინსტრუმენტებს, მათ შორის:

- პროფესიული სტუდენტების კითხვარი ;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების კითხვარი ;
- კურსდამთავრებულთა კითხვარი;
- პარტნიორი ორგანიზაციების კითხვარი ;

აღნიშნული კითხვარები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების, სოციალური პარტნიორების, პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების მოსაზრებებს, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკას, აგრეთვე უახლეს კვლევით მონაცემებს. პროგრამის განხორციელების პროცესის ანალიზის დროს კოლეჯი ასევე ყურადღებას აქცევს სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ კოლეჯი ახორციელებს პროგრამის განხორციელების მონიტორინგსა და ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად, იმართებს შესაბამისი ცვლილებების შეტანას „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესის“ შესაბამისად.

მნიშვნელოვანია, რომ პროფესიული განათლების სტანდარტის განახლების პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები, რაც უზრუნველყოფდა დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებას და მისი ასახვას სტანდარტის განახლებულ რედაქციაში. ეს გარემოება მნიშვნელოვნად შეუწყო ხელს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას.

განახლებული პროგრამის სტრუქტურა და შინაარსობრივი კომპონენტები ეფუძნება ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს, კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემებსა და დამსაქმებელთა შეფასებებს. აღნიშნული პროცესის შედეგი არის მტკიცებულებებზე დაფუძნებული და რეალური საჭიროებების შესაბამისად განხორციელებული პროგრამის რევიზია.

აღნიშნული პროცესი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემურ მიდგომას, რომელიც ეფუძნება მონაცემებზე დაფუძნებულ მართვას, შრომის ბაზრის ანალიზს და უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან. შესაბამისად, პროგრამის შეფასების მექანიზმები სრულად ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს და საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცედურები და ინიცირება რეგულირდება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესის“ მე-4 მუხლით. ცვლილებების ინიციატორები შეიძლება იყვნენ: ხარისხის მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაცია ან სხვა დაინტერესებული მხარე. საბოლოო გადაწყვეტილება ცვლილებების განხორციელებაზე მიიღება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ კოლეჯი სისტემატურად ახორციელებს პროგრამის განხორციელების ანალიზს და საჭიროების მიხედვით, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესის“ მოთხოვნების შესაბამისად, მიმართავს შესაბამის ცვლილებებს. აღნიშნული პროცედურები განახორციელეს შესაბამისი მტკიცებულებებით, რაც ადასტურებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მუდმივ განვითარებას და პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.განახლებული პროგრამის დანერგვა წარმოადგენს დემინგის ციკლის ეფექტური გამოყენების თვალსაჩინო და პრაქტიკულ დადასტურებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კითხვარების ფორმები;
- გამოკითხვის შედეგები;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო პროცესის განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა, სასწავლო გეგმა აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით. პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს კოლეჯში დირექტორის 10/02/2021 წლის N 10 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება: 2025 წლის 4 ივნისის N619331 ბრძანება),„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ დამტკიცებული „კალენდარული გეგმის“ ფორმის ნიმუშიც. შესაბამისად პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. მაგალითად, სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით. კოლეჯში სწავლა პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით დაგეგმილია ორ ცვლაში. ფორს-მაჟორულ შემთხვევებში სტუდენტთა ინტერესების დაცვის მიზნით კოლეჯი მოქნილად რეაგირებს მსგავს გარემოებებზე. მაგ, ეს შეიძლება იყოს სასწავლო გეგმის ცვლოლება, საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწავლო გეგმის მოდიფიცირება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმი . შეიძლება შეიქმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ან საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს დამატებითი მეცადინეობები/კონსულტაციები. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯში შშმ პირებისათვის უზრუნველყოფილია შესაბამისი სასაწავლო გარემო.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროგრამა აღჭურვილია ყველა იმ მატერიალურ- ტექნიკური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. პროფესიული განათლების მასწავლებლებს სისტემატიურად უტარდებათ ტრენინგები, სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ასევე, კოლეჯის მიერ ტარდება ტრენინგები და საკონსულტაციო შეხვედრები, რაც დასტურდება ცნობებით, სერტიფიკატებითა და ტრენინგებზე დასწრების ფურცლებით. კოლეჯი სისტემატიურად უწევს ორგანიზებას მასტერკლასების, მასწავლებლებს შორის სწავლება-შეფასების ნაწილში გამოცდილების ურთიერთგაზიარების, სამუშაო შეხვედრებს. ასევე, მასწავლებელს საშუალება აქვს გაეცნოს დარგის ტექნოლოგიურ სიახლეებს, ამისათვის კოლეჯი იწვევს დარგის მოქმედ ექსპერტებს ან უზრუნველყოფს მასწავლებელთა პერიოდული ვიზიტებს პარტნიორ საწარმოებში.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

კოლეჯში მოქმედებს დირექტორის 10/02/2021 წლის N 10 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება: 2025 წლის 4 ივნისის N619331 ბრძანება),,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", სადაც განსაზღვრულია, სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა როგორც სსსმ და შშმ პირებისთვის, ასევე სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი, შიდა და გარე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. დოკუმენტის თანახმად, კოლეჯში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ინიცირება ხდება მაშინ, როდესაც წამოიჭრება ამის საჭიროება. კოლეჯის დირექტორი ქმნის კომისიას, რომელსაც ამტკიცებს სამართლებრივი აქტით. კომისიის შემადგენლობა შედიან - სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულის განმახორციელებელი პირი. კომისიის მიერ ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტის შემუშავება, შემუშავებული პროექტის პროფესიული სტუდენტებისთვის გაცნობა კოლეჯის მიერ დადგენილ ვადებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომისია კოლეჯის დირექტორს წარუდგენს ოქმს, რომელსაც დანართის სახით დაერთვება პროექტი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობასთან დაკავშირებით. პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. რაშიც ეხმარება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი ,,სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში". შესაბამისად **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

მოდულის საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით, კოლეჯსა და პრაქტიკის ობიექტ შპს ,,პრემიერა ტმ"-ს შორის გაფორმებულია მემორანდუმი, რომელიც განსაზღვრავს მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, საჭირო მატერიალურ რესურსებს, მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, პრაქტიკის ინსტრუქტორის გამოყოფას, პროფესიული სტუდენტების უსაფრთხო და ხელსაყრელ სასწავლო გარემოში უზრუნველყოფა და სხვა მნიშვნელოვან დეტალებს, რომლებიც მიმართულია პრაქტიკული სწავლების ხარისხის და პროგრამის მიზნების განხორციელების უზრუნველყოფაზე.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამა ,,მოდის ტექნოლოგია და დიზაინი"-ს ფარგლებში აქვს შემუშავებული და თვალსაჩინო ადგილას განთავსებული უსაფრთხოების წესი. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 18 თებერვლის №21 ბრძანებით დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც მოიცავს შრომის უსაფრთხოების, პირადი ჰიგიენის ნორმებს, უბედური შემთხვევების დროს რეაგირების და პირველადი დახმარების წესებს, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებს.

გასაუბრებისა და წინამდებარე დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი განხორციელდება უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის სრული გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი"** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო გეგმა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინდ. სასწავლო გეგმების შემუშავების წესი;
- უსაფრთხოების დამტკიცებული პროცედურები;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა; პირველადი გადაუდებელი დახმარების წესები
- ინტერვიუს და დათვალიერების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულებას აქვს შემუშავებული და დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების პროცესს. აღნიშნული წესი მოიცავს შეფასების ინსტრუმენტების შექმნის პროცესებს, პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას, შეფასების ადმინისტრირებას, აპელაციის წესს, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურებს, ასევე მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესებს.

დაწესებულებამ წარმოადგინა წინამორბედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამკერვალო წარმოება“-ს ფარგლებში შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები, მათ შორის ფორმატები, დავალებები და შესაბამისი ინსტრუქციები, რაც ადასტურებს შეფასების პროცესის სტრუქტურირებულობას და შესაბამისობას პროფესიული განათლების სტანდარტებთან.

დამატებით წარმოდგენილია შეფასების ვალიდაციის შევსებული ფორმები და პროფესიული სტუდენტების შეფასების მტკიცებულებები. დოკუმენტების ანალიზისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ასევე სასწავლო პროცესის სამსახურის თანამშრომლებთან ინტერვიუების შედეგების გათვალისწინებით, დასტურდება, რომ პროგრამის მიზნების მიღწევისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მიზნით კოლეჯში მოქმედებს 2021 წლის 15 თებერვლის №12 (ცვლილება 18/08/2021 №89) ბრძანებით დამტკიცებული „ვერიფიკაციის მექანიზმები“, რომელიც განსაზღვრავს ვერიფიკაციის ჯგუფის ძირითადი ამოცანებს, მიმართულებებსა და პროცესის ეტაპებს. აღნიშნული პროცესი მოიცავს ვერიფიკაციის გეგმის შედგენას, სამიზნე ინსტრუმენტების შერჩევას, განხილვის ორგანიზებას, ფაქტობრივ გარემოებებსთან შეთანხმებას და ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის მომზადებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების ვერიფიკაციის ძირითადი პროცედურებია:

- ნამდვილი ინფორმაციის დადგენა და ჭეშმარიტების შემოწმება;
- შეფასების პროცესის შემოწმება;
- პროფესიული სტანდარტების შესაბამისობის შეფასება ფაქტობრივ ვითარებასთან.

ვერიფიკაციის მიმართულებები მოიცავს:

- შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციას;
- შეფასების პროცესის ვერიფიკაციას;
- შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციას.

დოკუმენტში დეტალურად გაწერილია თითოეული მონაწილის უფლებები და პასუხისმგებლობები, რაც უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას. ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი არის ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც მუშაობს დარგის სპეციალისტებთან ერთად.

ვერიფიკაციის მექანიზმი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა. ამ მექანიზმით ხდება შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმება, რათა დადგინდეს, თუ რამდენად შესაბამისია პროფესიული სტუდენტების შეფასება დადგენილ სტანდარტებთან და შეინარჩუნა შეფასების ობიექტურობა.

შიდა ვერიფიკატორები შესაძლოა იყვნენ კოლეჯის სხვა მოდულის მასწავლებლები, იმავე პროგრამის სხვა მასწავლებლები ან ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი კომპეტენცია. ვერიფიკატორი წარადგენს შემოწმების ანგარიშს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან, ხოლო დასკვნის განხილვა ხდება ჩართულ მხარეებთან ერთობლივი მუშაობის მიზნით პრობლემების აღმოფხვრისა და შეფასების სისტემის გაუმჯობესებისათვის.

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან ჩატარებული ინტერვიუსა და დოკუმენტების ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესში გამოიკვეთა ინსტრუმენტების ფორმატის დახვეწისა და ტექნიკური დეტალების დაზუსტების საჭიროება. აღნიშნული ქმედებები წარმოადგენს ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების პროცესის ნაწილს.

პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემა სრულად ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს და უზრუნველყოფს მისი ეფექტურ ფუნქციონირებას.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის"-ის შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა **შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ.**

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

აწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესის თანამშრომლებთან, განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდეტებთან თანამშრომლობით პერიოდულად ახორციელებს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგს. მონიტორინგის შედეგად მიღებული შედეგები გათვალისწინებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ გაუმჯობესებას, მაგალითად, შეფასების ინსტრუმენტების შეცვლასა და სრულყოფას. ასევე, პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგები გამოიყენება მათი შემდგომი პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის;
- შეფასების შიდა ვერიფიკაციის შედეგები;
- მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

11.08.2025წ

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: